ნანა ლომაძე

ჩემი შემოდგომა

ნანა ლომაძე

ჩემი შემოდგომა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

© ნ. ლომაძე, 2010

გამომცემლობა „უნივერსალი", 2010

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-066-9

ნანა ლომაძე

ჩემი შემოდგომა

თბილისი
2010

ლ ე ქ ს ე ბ ი

* * *

ეს მამული ჩემია,
ეს მამული ჩვენია.
წინაპრები მოგვძახიან
თქვენი მოსახედია.

ჰოდა, რამე გავაკეთოთ
მიწა უნდა დავამშვენოთ
ზედ ვენახი გავაშენოთ,
ანდა სახლი ავაშენოთ
თუნდაც რამე მივაშენოთ.

ან სხა რამე შევაკეთოდ,
ოლონდ საქმე გავაკეთოთ,
ბევრია ასარჩევად.
ყველამ რამე გავაკეთოთ
ქვეყნის გადასარჩენად.

* * *

მახსოვრობა მსაჯულია
ხან გკიცხავს და ხან გაქებს,
ნათლად ახსოვს ყველაფერი
არ ივიწყებს არაფერს.

თუ კი ძველის გახსენება
სულიერად აგვავსებს,
რა თქმა უნდა სჯობს გვახსოვდეს
და ვეფეროთ ერთმანეთს.

მთავარია, შენს მიწაში დამარხული
საიდუმლოს არსებობა გახსოვდეს,
აზრისა და საქციელის სისუფთავე
შენთან იყოს, გამუდმებით გამკობდეს.

დაიხსომე – ეს ასეა!
ჰენგელს სწამდა – ეს ნაცია
შესძლებს შექმნას ცივილიზაციას.

* * *

ჯერ წავიდა ბავშვობა
შემდეგ ახალგაზრდობა,
მეშინია დრო რომ მოდის
მაკრთობს ღმერთის წყალობა.

რწმენა, რწმენა, მუდამ რწმენა,
მამშვიდებს და მამაგრებს.
სიმართლეზე თვალს ვერ ვხუჭავ,
ვხედავ, ეს რომ მამაღლებს.

მხოლოდ რწმენა არა კმარა,
საჭიროა ქმედება,
და გვახსოვდეს, შურისგებას
ყოველთვის სჯობს შენდობა.

ღმერთს შევწირავ მადლობას,
ყველაფრისთვის, რაც არის.
მისი მოძღვრებისაკენ
მორჩილებით მავალი.

* * *

დადგა ჩემი შემოდგომა
განვლილის მოგონება,
მოყვითალო ფერებისგან
ნითლად გამონათება.

ხშირად სევდა მეძალება
თუმც თან ახლავს სინაზე,
რადგან ყველა დარდში დევს
სითბო და სილამაზე.

ცხოვრებაში ყველაფერი
უცნაურად გამოდის,
ყვავილიც ხომ მინდორში
თავისთავად ამოდის.

გაკვირვებას ვერ ვმალავ
მართლაც უცნაურია,
ყველა სიმშვენიერე
თითქოს დამალულია.

ხშირად გულის გატეხვა
დიდ ტკივილებს იტანს,
მარტოობა გჭირდება
მყუდროობა გინდა.

ზოგჯერ უცხოს ელოდები
და ენდობი სხვას.
ახლო მდგომს კი ვერ ამჩნევ
არ აფასებ მას.

შენ არ სტყუი, ის სტყუის
უნდობლობა ბატონობს,
კაცისაგან დავიწყებულს
ეშმაკები პატრონობს.

ფიქრი, ფიქრი, ფიქრზე მეტი
შეკითხვები – სად ხარო?
დავიღალე, გევედრები,
მოდი ჩემთან უფალო.

* * *

ხშირად ვფიქრობ – რა ხდება?
ნუთუ ღმერთმა ინება,
ის დავწერო, ისა ვთქვა
რაც მეთქმევინება.

არა როგორც შეგონება,
არა ჭკუის სწავლებად.
ისე, უბრალოდ ვამბობ,
ისე, გასახსენებლად.

თავდაბალი იყავი
და გახსოვდეს ამავდროს.
ნაჩუქარი ცხენის კბილებს
არ სინჯავენ არასდროს.

თავდაბლობა ოდითგანვე
სანაქებო იყო.
აკი ვაჟაც ბრძანებდა –
სჯობს ბალახად გავჩნდე
ვინემ ცელი ვიყო.

გაუფრთხილდი ღვთის წყალობას,
რომ შემდგომში არა სთქვან.
არა შეჯდა მწყერი ხესა
ეს რა მოხდა, ეს რა ქნა.

მიტევება შესძელი
მეგობარს ნუ გაკიცხავ.
რასაც დასთეს, მას მოიმკი
მომავალი მოგკითხავს.

ამიტომაც ერთსა გთხოვ
ნულარ იზამ მეტისმეტს.
მთავრობას ნუ შეიყვარებ
და ნუ იტყვი ბილწ სიტყვებს.

რადგან ენა ბინძურდება
როცა აზრი ბუნდოვდება!
ტკბილი სიტყვით და ღიმილით
ბევრი სიკეთე კეთდება
ვიცით, კოკაში რაცა დგას
იგივე გადმოდინდება.

ბავშვობაში გვასწავლეს
და ახლაც ნათელია
მარცვლით სავეს თავთავი
მუდამ თავდახრილია.

როცა საქმე კეთდება
გაარკვიე მთავარი,
რა კეთდება ის კი არა,
ვინც აკეთებს – ვინ არის.

ცნობილია ბოროტებით
სიკეთე არ შეიქმნება,
ისე, როგორც ნემსის ყუნწში –
აქლემი ვერ გაეტევა.

* * *

ყველა ჩემი საქციელი
ყველა ჩემი ქმედება,
ჩემში რჩება და სხეული
ზნეკეთილთან ერთდება.

ჩემს წარსულს და ჩემს ცოხვრებას
სრულებითაც არ ვნანობ.
პირიქით ძალიან მომწონს
და ნამდვილად ვამაყობ.

ვეცადე სწორი გზით მევლო,
რაც შემეძლო გავიღე,
და რაც ბევრი გავეცი
მასზე მეტი მივიღე.

ვისაც ქონდა შური, ბოღმა,
ვინც გვიმტრო და დაგვძრახა
ცხოვრებაში დაეცა,
ერთიანად დამარცხდა.

* * *

თუ ხალხმრავალ სამყაროში
უცებ დავიკარგები.
უფალი ხომ ჩემთან არის
მარტო აღარ ვიქნები.

იგი გამოცდას მომიწყობს,
თვალი ამეხილება.
მერე როცა გულს გამითბობს
აზრი გამობრწყინდება.

ნათელს ბნელი მოშორდება,
სავალი გზა გამოჩნდება,
სულში სიმშვიდე ჩადგება.
შენ უფალო დიდება.

* * *

სამართალი ყველას წვდება, ყველას ხვდება.
კეთილი ხომ ჭეშმარიტად
სულ კეთდება, სულ მშვენდება.
შინაგანად რაც ამკობდა, იგი გადმოედინება.

ბოროტი კი წლებთან ერთდათ უშნოვდება,
სიბერეს თუ მიაღწია
სამწუხაროდ, ასეც ხდება,
რომ ეშმაკსაც ემსგავსება.

თუმც ვერ ხვდება რომ ისჯება
და გონებას არ ეგება.
ავი გული კვლავ არ ცხრება
მწარე ენა არ მოკლდება.
ასე ხდება. რაც ერგება, ის შეხვდება.

მორწმუნე კი ღვთის წყალობით,
გამუდმებით ლოცულობს.
და დინჯდება და მშვიდდება
და სულ დარბაისელდება.
ღმერთმა შეგაძლებინოთ.

* * *

სიძულვილით ერთად ყოფნა არ იქნება.
ოჯახში თუ ახლობლებში ვერ შედგება
ყველამ იცის, რომ ვარდები
ნივრის ბაღში არ იზრდება.

ერთხელ შეცდით, სიძულვილმა
გონება რომ აგირიათ;
მერე მიხვდით, ახლა ნანობთ,
მაგრამ უკვე გვიანია
ეს გზა უკვე გავლილია
და ქვეყანა დაჭრილია.

მეორეჯერ იგივე ქმენ
კვლავ შეერთდით სიძულვილით,
ისევ შეცდით ხელში შეგრჩათ
დამცირება და სირცხვილი.
ქვეყანა კი დაჩეხილი.

სიძულვილით ერთად ყოფნა არ მოხდება
მესამეჯერ შეცდებით და შეგეშლებათ.
ნულარ იზამთ.

ჩვენს ქვეყანას ნუ მოუტანთ ამდენ ზიანს.

უფლის რწმენით ერთმანეთი შეიყვარეთ.
მიზნად კარგი და დიადი დაისახეთ.
როგორც მაშინ – საუკუნო ნატვრისათვის
გაისარჯენ
და კიდევაც გაიმარჯვეს.

კიდევ ერთხელ – მამულისთვის
დაიხარჯეთ,
სიყვარულით შეკავშირდით
სიყვარულით დაირაზმეთ,
კიდევ ერთხელ სიყვარულით
გაიმარჯვებთ!

* * *

ახლა ვიცი, ახლა მჯერა.
ლექსი მიტომ მეწერება,
რომ რაღაცის თქმა მჭირდება
მე მჭირდება.

ისტორია მეორდება
ერთად ყოფნით ყველაფერი შეიცვლება,
ყველა შიში დაიძლევა,
ყველა დავა მოგვარდება.

დაკარგული ჩვენი მიწა დაბრუნდება.
ჩემი წილი სატკივარი მოშუშდება,
დარდისაგან გული განთავისუფლდება,
მწუხარება სიხარულით შეიცვლება,

ყველა ნატვრა აგვიხდება
და მუდამ გვემახსოვრება
გამარჯვებას გაფრთხილება
რომ სჭირდება.

* * *

ცნობილია, რომ სამშობლო
მიყვარდა მეტის მეტად,
სხვებს კი ვაფასებდი
ჩემი იყო ყველა ერთად.

გული ტკივილს ვერ იტევდა,
მაწუხებდა ფიქრები,
ვგრძნობდი აღარ ვიქნები.

ვიცი, რა იქნებოდა
თუ კი მეყოლებოდა.
სხვისი მამის მაგვარი,
დედაც სხვისი სადარი.

ყველა ჩემი ნუხილი,
ჩემი მწარე ტკივილი,
სულ აღარ მექნებოდა.
ცოცხალი ვიქნებოდი.
ასე არ მოხდებოდა.

* * *

ნეტავ ასე რატომ ხდება,
ყველაფერი რად იცვლება?
ვინც გვიყვარდა, აღარ გვიყვარს
გარდაცვლილიც გვავიწყდება.

განშორება ტკივილს იწვევს,
თუმც თანდათან ბევრი სიხარული ჩნდება.
თუ ვინმე გარდაიცვალა
მისი ყველა წყენა ქრება,
მაგრამ შემდეგ წლებთან ერთად
თავად ისიც გვავიწყება.

ვაღიაროთ რომ ასეა
ყველაფერი მეორდება.
ამ ქვეყანას მარტო მოვალთ,
მისგან წასვლაც მარტო ხდება.

* * *

ყველაფერი უკვე იყო.
ყველაფერი დრომ წაიღო.
ხალისი და სიხარული
ბევრი იყო,
წყენაც იყო, სევდაც იყო,
მაგრამ დიდი სიყვარულიც იყო.
რაც კი იყო დრომ წაიღო
ახლა ხშირად მოვიგონებ
იმ კარგ დროს.
კვლავაც მინდა დამიჯეროთ და მენდოთ.
ახლა თითქმის არ ვაკეთებ არაფერს.
თუ არ ჩავთვლით
მოკრძალებულ ჩემს ლექსებს.
ახლა მხოლოდ გამოვაღებ დარაბებს,
და მოვიწვევ მონატრებულ მეგობრებს
დავსხდებით და გავიხსენებთ ძველ ამბებს.

* * *

ყურსაც ართობს, გულსაც ათბობს
სანუკვარი სიტყვები –
შენ მიყვარხარ, შენ მინდიხარ,
მუდამ შენი ვიქნები.

მაგრამ სიყვარული ჭკნება,
შემდეგ კვდება, შემდეგ ქრება.
ვით ასანთი დაიწვება.
და ჩაქრება, და გაქრება.
ასე ხდება.
ადამიანი კი ქვეყნად ბედნიერებისთვის
ჩნდება.

ჩიტუნები ჟღურტულობენ
მოიშორე ცდუნება,
და ფორტუნა შეგიქმნის
ნამდვილ ბედნიერებას.

ბედნიერი სიყვარული,
ბედნიერი გართობა.
ბედნიერი შრომა და

ბედნიერად ყოფნა.

სიყვარული პროცესია,
ის არ გახლავთ მოვლენა,
ყველას უფლის ნება მართავს
და არა ოცნება.

სიყვარული ანგარებით,
თითქოს სასურველია.
ამურის ისრები კი
მართლაც საამურია,
ადამიანურია.

* * *

ჩემს მხარეში ყოველ ღამე
ცა ყვავილებით ირთვება.
ყველა სევდა, სიხარული
სიყვარულისგან იწყება.

ჩემს მხარეში დალოცვილში,
საიდუმლო მართლაც ხდება.
ღამღამობით ვარდს ბულბული
სიყვარულით ეფერება
და თან ცრემლებად იღვრება.

შემდეგ მირაჟი გაქრება,
ცისარტყელა გამოჩნდება
და ნათელი შეიქმნება,
რომ ლამაზ ქალს ამ მხარეში
სევდა ასე რად უხდება.

* * *

ეს ლამაზი კაკლის ხე
ნეტავ ასე რატომ მიცქერს,
იგი ჩემი დარგულია
იმედია მე არ მიწყენს.

იქნებ ადგილი არ მოსწონს,
იქნებ რამე ეტკინა.
ყვავილების სიძულვილით
ბევრმა ცრემლი მადინა.

ჩემი ბაღი სულ იქნება
ვარდები იყვავილებს.
ხეები ხილს მოისხამს
ბალახი იბიბინებს.

კაკლის ხე კი ცისკენ ილტვის
და დღითიდღე მშვენდება.
მე სიხარულით ვუცქერ
და სიცოცხლე გრძელდება.

* * *

აქ ისეთი სიმშვიდეა,
ისეთი სილამაზე,
რომ მუდამ მენატრება
ჩემი ცის სილაჟვარდე.

ჩიტუნები მიგალობს და
მისიანად მიმიღო
ახლა ახლოს მეგულება
ჩემი ჟღალი მიმინო.

ჩემი ზღვა და ჩემი ტბები
საღამო ხოხბის ფერი.
მათი სიმშვენიერებით
სულ ვმღერი და არ ვიღლები.

მყინვარებით ვიხიბლები,
ყვავილთა სურნელით ვთვრები.
მათთან შეერთებულია
ჩემი სულის აკორდები.

ბუმბერაზ მთებს გადავძახებ
ექო მოვა, მაგრამ როდის?
გული ბაგა-ბუგით მამცნობს
ოცნებაც ხომ დაძახებით მოდის.

* * *

მახვილით და კალმით ხელში,
ერთად იდგა
მეფე – ბრძენი,
გონიერი ერი, ბერი.
და უფალმაც მოგვაკუთვნა
ეს ქვეყანა მშვენიერი.

აღმოცენდა და დაინგრა,
კვლავ აშენდა ქალაქები.
მოგვიმრავლდა იქ ტანძია,
აქ ვარძია სანატრელი.

თან შემოგვჩა დამწერლობა
დიდებული და საქები.
და შეიქმნა ისტორია სასურველი.
თუმცა ბნელიც იყო ბევრი.

კვლავაც გვინდა, ხალხთან იდგეს
მედგარი და წიგნიერი
ქვეყნის საჭეთამპყრობელი.

რომ ქვეყანას უერთგულოს,
სწამდეს მისი მომავალი დიადი.
უფალსა ვთხოვ, მოგვივლინოს ისევ
სულმნათები ილია და ზვიადი.

* * *

ზოგ ხელმძღვანელს წასვლის შემდეგ
უგზავნიან კრულვას.
შენ კი ცრემლით გიგონებენ
გიფასებენ უნარს.

სიყვარული და ტკივილი
არასოდეს არ გაკლდა.
ამიტომაც მიხარია
მათი ნატვრა რომ ახდა.

ახსოვხარ, არ გივიწყებენ,
გვიჩვენებენ შედეგს.
კომუნისტ კაცს ძეგლს გიდგამენ
ორმოცი წლის შემდეგ.

სიხარული არ მასვენებს,
მსურს მადლობა ვუთხრა.
კაცთმოყვარე ოკრიბას
დღეგრძელობა მუდამ.

* * *

მოციმციმე თვალებით და
მომღიმარი სახით,
ყველგან სიკეთეს თესავ
სიტყვებით და საქმით.

მოკეთისთვის, მოყვასისთვის,
სახლის კარი ღიაა,
აქ ცხოვრობენ, იზრდებიან
და განა ეს ცოტაა.

ოჯახი და შვილები
შენთვის ყველაფერია,
არ გაქვს პრეტენზიები
შენთვის მცირეც ბევრია.

შენი სითბო, შენი სიბრძნე
გზას სხივივით გვინათებს.
გვინდა დიდხანს იცოცხლო
სხვას არაფერს ვინატრებ.

* * *

სიხარულით გაჩნდი ქვეყნად,
სიყვარულით გფარავდი,.
ნეტარებით შენთან ყოფნას
დარდიც ახლდა მრავალი.

მიხარია ქვეყნად რომ ხარ
რომ კაცი ხარ მაგარი,
ლამაზი და გონიერი,
წიგნიერი, მართალი.

გიყვარს მოძმე, გიყვარს ყველა,
კაცის მოდგმა ალალი,
დიდი პაპის მემკვიდრე ხარ
მისი შთამომავალი.

წინ ნათელი გელოდება,
გვჯერა მუდამ ივარგებ.
შენ შვილებთან, შენს ოჯახთან
გამუდმებით იხარებ.

* * *

ლურჯთვალება ეს ჭაბუკი
ჩემი შვილიშვილია,
დაკუნთული სხეული აქვს,
თან ლამაზი ბიჭია.

მრავალმხრივი სურვილი აქვს,
აზროვნება ქართული.
სამშობლოსთვის ლოცულობს,
კითხვით არის გართული.

მინდა მტკიცე გაიზარდოს
ბედიც ქონდეს საშური
სხვისი დარდი ადარდებდეს
და უყვარდეს მამული.

მომავალის რწმენა ქონდეს,
ბედნიერი ბავშვობა.
სხვისთვის მაგალითი იყოს
მისი კარგი კაცობა.

* * *

თამუნია, თამუნა,
ეს რა კარგი ქალია.
მომიტანა რწმენა, სიტკბო,
მრიოლაც დედოფალია.

ყველასაგან გამორჩეულს
უცხო წამში შეამჩნევს.
მოხიბლავს, თავს მოაწონებს,
დაავიწყებს ყველაფერს.

ზრდილი, თბილი, გონიერი,
ტანნერწეტა მთვარისა,
მზესაც მისი შეშურდება
სიბრძნე გაითავისა.

ვევედრები უფალს, გამჩენს
დამილოცოს თამარი,
დიდი მეფის სეხნია,
ლამაზი და მართალი.

მშვენიერი, გონიერი,
ბევრი გყავდეს, საქართველო!
გაიხარე მთა და ველო,
ქალი მოდის სასახელო.

მოთხრობები

სიყვარული რომელიც
მუდმივად ძალით მავსებს

დიახ! ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ, ბავშვობა კი მშობლებით იწყება და მეც მინდა გიამბოთ მამაჩემზე – კარლო ლომაძეზე ის რაც მახსოვს და რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

ამბობენ იგი მეტად მომთხოვნი და პრინციპული იყოო. შეიძლება მართლებიც არიან, მაგრამ სამართლიანი რომ იყო, ამას ყველა აღიარებს.

ყოფაში ძალზედ უბრალო გახლდათ, ადვილად საურთიერთო. არასოდეს გამიგია მისგან ხმამაღალი სიტყვა. მაშინაც კი როცა გაფითრებული უყურებდა ფეხბურთის ტრანსლაციას იგი ემოციებს არ გამოხატავდა. რაზედაც დედაჩემი ურჩევდა; – თქვი რამე, გულს ნუ იხეთქავო.

საყვედურის თქმას არ იკადრებდა და არც შენ გაკადრებდა. არ უყვარდა შენიშვნების მოცემა, ისე იუმორით მიგანიშნებდა, თუ მიხვდებოდი, ხომ კარგი.

ბუნებით დემოკრატი კაცი იყო და ცდილობდა ჩვენც თავისუფალ პიროვნებად აღვეზარდეთ. ცნობილია რაც მეტია თავისუფლება, მით უფრო ძლიე-

რია ქვეცნობიერი ცენზურა, რომელიც გამუდმებით გიმეორებს: – ეს არ შეიძლება, ეს არ შეიძლება... ეტყობა მამაჩემს ეს კარგად ესმოდა მასთან ყოფნა ჩვენთვის ზეიმი იყო.

იგი შვილებს გვამხნევებდა და კარგი სწავლისთვის გვახალისებდა კიდეც.

უყვარდა ჩვენი მეგობრები, იმდენადაც კი, რომ ნანი ჩხეტიას მეოთხე ქალიშვილს ეძახდა. ლამარა გაბისკირიას გოგონები, როცა წამოიზარდნენ გაოცებულები იყვნენ: – როგორ, კარლო ბაბუ ჩვენი ნამდვილი ბაბუ არ არისო?! საქმე იმაში გახლდათ, რომ ჩემს მეგობარს ზაფხულობით ბავშვები რაჭაში დაყავდა. ტყიბულამდე მატარებლით მოდიოდნენ, შემდეგ კი მამაჩემი ზრუნავდა მათ მგზავრობაზე.

ჩვენი მეგობრები მამაჩემის საქმიანობას ზღაპარს ადარებდნენ და სათაურიც „იყო ასეთი კაცი!“ ლია მეგრელიშვილმა შემომთავაზა.

ჩვენ ბევრჯერ დაგვხვედრია წინ მამაჩემის კეთილი სახელი. მოგონებების გამოცემის იდეასაც ძალზედ წაადგა ზაურ გომართელის თანადგომა.

განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება შვილიშვილების მიმართ, შეისვავდა მათ მხრებზე და დაარბენინებდა. თვითონ ნიგნიერი კაცი იყო და

ხელს გვიწყობდა რათა შვილებისათვის კარგი განათლება მიგვეცა. ეს კი ნამდვილად შევუსრულეთ.

ბავშვები მიჩვეულები იყვნენ, უცხო ადამიანებისაგან ბაბუს ქებას. ერთმა მწერალმა მამუკას წიგნიც აჩუქა წარწერით:

„არ გამიკითხავს შენი ოჯახი,
არც შენი მოდგმის გულის ფიცარი,
შემოგ ხედე და მაშინვე მივხვდი –
კარლო ლომაძის გენო გიცანი“.

მამაჩემი ჩემთვის, – ჩემს გულში იდეალური პროვნება იყო. თანაც მომხიბვლელი. მაგონდება მეზობლები მეუბნებოდნენ: მამაშენი ეზოში რომ შემოვიდოდა – მხრებზე პიჯაკ წამოკიდებული, მთელი სახლის ქალები ფანჯრებს ვაწყდებოდითო.

ბავშვობაში გამუდმებით გვიმეორებდა: – ვისაც მეტი მიეცემა, მეტი მოეკითხებაო, ან რასაც გასცემ შენიოა... და შემდეგ იწყებოდა მისი განმარტებები. თითონაც მკაცრად იცავდა ამ შეგონებას.

მახსოვს, პანაშვიდზე ვიყავი, მამაჩემი მოწიწებით მიესალმა სიმპატიურ პიროვნებას, ის კი მიიჭრა მამაჩემთან, ჩაეხუტა და უთხრა: – თავს ვერ ვაპატი-

ებ აქამდე რომ ვერ მივხვდი, ახლა კი, როგორც შე-
მოგხედე მაშინვე ვიგრძენი, რომ ის კაცი შენ ხარ. მა-
მაჩემი უხერხულად იდგა. ეს კი იმეორებდა. ის შენ
ხარ! ათეული წლები იყო გასული და მამაჩემიც დაე-
თანხმა.

შემდეგ დედაჩემისგან გავიგე, რომ ბატონი აკა-
კი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახ-
ლდათ და დააპატიმრეს. იმ პერიოდში მამაჩემი თურ-
მე ყურადღებას არ აკლებდა მას და მის ოჯახს.

ტელევიზია და რადიო ბევრს ლაპარაკობდა
ტყიბულის რაიონის წარმატებებზე. ბევრი იწერებო-
და პრესაშიც. აღნიშნავდნენ დიდ მიღწევებსაც რო-
გორც სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, ასე-
ვე მშენებლობის, კულტურის, ჯანმრთელობისა და
სპორტის სფეროშიც. ამიტომაც ტელევიზიამ გა-
დაწყვიტა გადაეღო მრავალსერიანი ფილმი ტყიბულ-
ზე და მას ხელმძღვანელზე. ვახტანგ გეგელია (უფ-
როსი) უკვე მუშაობდა სცენარზე.

როცა ეკრანებზე გამოვიდა რეზო ჩხეიძის ამავე
თემაზე გაკეთებული ფილმი და ეს იდეა დავიწყებას
მიეცა. თუმცა დიდი ხნის შემდეგ ტელევიზია მაინც
მიუბრუნდა ამ თემას.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მამაჩემს დაურეკა საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მყოფმა ახალგაზრდამ და შეხვედრა სთხოვა. ისიც ეახლა. თავაზიანი მოკითხვის შემდეგ პირდაპირ უთხრა: შენზე ამბობენ გმირობის ვარსკვლავის ტარებაც კი ეთაკილებაო. მამაჩემმა საუბარი ხუმრობაში გაატარა. – ახალი პიჯაკის გახვრეტა მენანებაო – უპასუხა ღიმილით. ამ დროს იგი ოთხმოცდ წელს იყო მიღწეული.

მისი ცხოვრება სავსე იყო განცდებით, იყო შური და წინააღმდეგობები. ჯანღონით სავსე, ცოდნითა და გამოცდილებით დატვირთული იგი ნაადრევად გავიდა პენსიაზე, რათა გაცლოდა მათ, ვისი საქმიანობაც მისთვის მიუღებელი იყო.

იგი მყარად იდგა მიწაზე, ამავე დროს ზნეობრივი კანონების დაცვით გამოირჩეოდა.

ზ. გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, ჩემმა მეგობარმა ფიქრია ელიაშვილმა მითხრა: – ჩვენი მამები ცოცხლები რომ იყვნენ, ზვიადის გვერდით დადგებოდნენო. ეს ნამდვილად ასე იქნებოდა, ეს მეც მჯერა, რადგანაც იმ დროს, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს ახლა, საქართველო იდგა არჩევანის წინაშე: – ჯერ დამოუკიდებლობა თუ დემოკრატია? საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ქვეყნის-

თვის უკეთესი იქნებოდა დემოკრატიის გზის არჩევა, ანუ საბჭოთა იმპერიის შენარჩუნება და მისი გაკეთილშობილება. მამაჩემმა იცოდა, რომ დემოკრატია დაუსრულებელი პროცესია. მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო მეორე გზა – საქართველოს განთავისუფლების გზა, რომ თქვენ წარმოიდგინეთ გარდაცვალების წინ შვილებს დაგვიბარა: – საქართველო დამოუკიდებელი რომ გახდება, მოდით ჩემს საფლავთან და ჩამომძახეთო!

იმ დროს საზოგადოების ყველა სფეროში მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებსაც სამშობლოსთვის სამსახური მოვალეობად მიაჩნდათ და რაც მთავარია გააჩნდათ ამის უნარი. დიდი შრომისა და მაღალი ზნეობის მეშვეობით, მათ ნათელი კვალი დატოვეს შთამომავლობაში.

იმ 30 წლის განმავლობაში, როცა კარლო ლომაძე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა რაიონებს, იმ ტოტალური რეჟიმის დროსაც, მან შესძლო კაცური კაცის პრინციპით ეცხოვრა.

ნამდვილად ბედნიერი კაცი იყო, იგი არა მარტო გასცემდა დიდ სითბოსა და სიყვარულს, არამედ იღებდა კიდეც. მაგონდება, ლიკანში ჩვენთან ერთად ისვენებდა დარბაისელი კაცი, როცა გაიგო ვინ ვიყა-

ვი, თვალცრემლიანმა მიამბო: – როცა კარლო ლომაძე ჩამოვიდა ჩვენს რაიონში, მაშინ ერთი გზააბნეული ბიჭი ვიყავი. მამა არ მყავდა და ცუდ წრეში ვტრიალებდი, ამიტომაც დამიჭირეს კიდეც.

როცა ბატონმა კარლომ ეს ამბავი გაიგო თავდებით გამომიყვანა. მან მკაცრი კონტროლი დამინესა, ზრუნავდა ჩემს სწავლაზე, კვებაზე და თქვენ წარმოიდგინეთ ჩაცმაზეც კი. სანამ ცოცხალი იყო, სულ მხედველობის არეში ვყავდი და იძულებული გამხადა შემეცვალა ცხოვრების ძველი წესი.

ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული კარლო ლომაძე აჭარაში დაინიშნა გაზეთის რედაქტორად. 1940 წელს კი ქედის რაიონის პირველ მდივნად. შემდეგ იყო ბოლნისი და ქობულეთი. განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით იმუშავა ტყიბულში – 14 წელი, ამიტომაც ისტორიკოსისა და აგრონომის პროფესიებთან ერთად, აქ სამთო საქმის სპეციალობაც შეისწავლა. ნათლად მახსოვს სამუშაო ოთახში დიდი შავი დაფა, სადაც მამაჩემი ახალგაზრდული შემართებით ხაზავდა და შლიდა, შემდეგ კვლავ კიხულობდა და ხაზავდა. იმ დროს 50 წელს იყო გადაცილებული.

1945 წელს დაამთავრა საკავშირო აკადემიის ორწლიანი კურსები. იმ დროს ქვეყანა ფაშიზმზე გა-

მარჯვებას ზეიმობდა. კრემლში გამართულ საზეიმო ვახშამზე სხვებთან ერთად მიწვეულები იყვნენ ოთხი აკადემიდან წარჩინებით კურსდამთავრებულები, მათ შორის იყო კარლო ლომაძეც.

კრემლში, სტალინთან საზეიმო ვახშამზე ყოფნის მოგონებები მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამაზე საუბარი უჭირდა.

იგი იყო თითქმის ყველა მედლისა და ორდენის კავალერი. 1947 წელს კი მიენიჭა საბჭოთა კავშირის შრომის გმირის წოდება.

ეს სიტუაციაც გამორჩეული იყო. რამდენადაც მახსოვს, სტალინის სიცოცხლეში პარტიულ ლიდერებს გმირობას არ ანიჭებდნენ.

განსაკუთრებით კარგად მახსოვს მისი მუშაობა ტყიბულის ქალაქკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე. მან ძალზედ ბევრი შესძლო. მისი არცერთი სიკეთე ტყიბულელებს არ დავიწყნიათ. გამოხატეს კიდეც მისდამი ღრმა პატივისცემა. თანამდებობიდან წამოსვლის 10 წლის შემდეგ, პენსიონერი კარლო ლომაძე აირჩიეს ტყიბულის საპატიო მოქალაქედ, 15 წლის შემდეგ ტყიბულელთა მოთხოვნით და მაშინდელი თავმჯდომარის – ნუგზარ ფოფხაძის ნებით სა-

ქართველოს ტელევიზიამ გადაიღო ფილმი კარლო ლომაძის მოღვაწეობაზე.

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, გადავწყვიტეთ ტყიბულში ახლად აშენებულ ეკლესიისთვის ხატები შეგვეწირა. გადავეცით ხატები წარწერით – კარლო ლომაძის ოჯახიდან. წამოსვლას როცა ვაპირებდით, ჩვენს ირგვლივ ეკლესიის მსახურნი შემოიკრიბა, ერთმანეთს ასწრებდნენ იმის თქმას, თუ მაშინ სად რა აშენდა, თან დააყოლეს: – კარლო ლომაძემ წარმოუდგენლად ბევრი გააკეთა, მაგრამ იმ პერიოდში ეკლესიის აშენება შეუძლებელი იყოო. შემდეგ შევავსეთ მოსახსენებელი, რომელსაც მუდმივად წაიკითხავენ საეკლესიო მსახურების დროს.

ეკლესიიდან გამოსულს ყმაწვილი გაგვეცნო, გავიფიქრე – ეს იმდენად ახალგაზრდაა ალბათ კარლო ლომაძე არც იცის თქო. თითქოს მიმიხვდა ფიქრს და გვითხრა: – ჩვენ, ტყიბულელები, ჩვენს ოჯახებში ჯერ თქვენ მშობლებს ვადღეგრძელებთ და შემდეგ საკუთარსო.

ამგვარი მოგონებები იმდენად ბევრია, რომ გვერიდება კიდეც მასზე საუბარი.

1997 წელს კარლო ლომაძე კვლავ „დაბრუნდა" ტყიბულში. წამოსვლიდან 26 წლის შემდეგ, ტყიბუ-

ლის ახალმა მერმა – დავით ცირეკიძემ, მოღვაწეობა ახლებურად დაიწყო. მან დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობაში – ყოფილი ქალაქკომის პირველი პირის – კარლო ლომაძის ავტორიტეტი გამოიყენა, მაგრამ მარტო ენთუზიაზმით ვერაფერს მიაღწიეს. მთავრობამ, როგორც სხვაგან, აქაც არცერთი წამოწყება არ დააფინანსა.

მაპატიონ ტყიბულელებმა და მაშინდელი წალკოტისმაგვარი ქალაქი, ახლა ნაქალაქარს ჰგავს. მაშინ კი 1997 წელს ტყიბული ზეიმობდა საყვარელი კაცის გახსენებას. ზეიმობდა მთელი ტყიბული, ქალაქი და სოფლები. ამასთან დაკავშირებით მინდა ავღნიშნო, მაშინდელი რუსეთის ელჩის გამონათქვამი: – ყოფილ საბჭოთა სივრცეში ეს პირველი შემთხვევაა, როცა დემოკრატები, კომუნისტს იუბილეს უხდიანო.

ტყიბულში ჩატარებული დღესასწაული თბილისში გაგრძელდა. ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი სავსე იყო ტყიბულელებითა და თბილისელებით.

1966 წელს მთელი ქვეყანა აღნიშნავდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ტყიბული თავისებურად გამოეხმაურა ამ თარიღს. სკოლებსა და ორგანიზაციებში მოეწყო კონკურსები და გამო-

ფენები. დანესდა პრიზები და ფულადი ჯილდო „ვეფ-ხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელებისთვის. რაც მთავარია ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა პოემის სრული ტექსტი. ამ ფაქტს დადებითად გამოეხმაურა მეცნიერთა დიდი ნაწილი. აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე წერდა: „თქვენი თაოსნობა ერთერთი საუკეთესო საქმიან ლონისძიებად მიმაჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის პუბლიკაცია საქალაქო გაზეთის ფურცლებზე ძლიერ შეუწყობს ხელს გენიალური პოემის პოპულარობას მასობრივ მკითხველთა შორის. ალბათ ბევრი გამოჩნდებოდა ისეთი, რომლებიც ძველი ჩვეულების კვალობაზე ზეპირად შეისწავლის პოემის ცალკეულ ადგილებს მაინც“.

როგორც ამ იდეის ინიციატორს კარლო ლომაძეს გადაეცა წიგნად აკინძული საგაზეთო კომპლექტი. იგი ახლაც ჩვენს ოჯახში ინახება.

როცა მამაჩემი პოემის ბეჭდვის იდეით იყო აღფრთოვანებული დედაჩემს უთხრა: „რადგანაც „სახარების“ ბეჭდვა არ შეიძლება, „ვეფხისტყაოსანს“ დავბეჭდავ ადგილობრივ გაზეთში, იგი ხომ ქართველებისთვის მეორე „სახარებაა“.

„ვეფხისტყაოსნის“ აკინძული კომპლექტი თათია ხაინდრავას ოჯახში ნახა „ასავალდასავალის“

მთავარმა რედაქტორმა ლაშა ნადარეიშვილმა. პოემის საგაზეთო პუბლიკაციის 40 წლის შემდეგ, ბატონი ლაშა დაინტერესდა ამ ამბით და თათიამაც უამბო მამაჩემი როგორ ოცნებობდა, რომ „სახარება" დაებეჭდა. მალე „ასავალდასავალის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ფოტომასალა და ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის" საგაზეთო პუბლიკაციის თაობაზე.

შემდეგ კი, შემდეგ მოხდა საოცრება. „ასავალდასავალმა" დაიწყო „სახარების" ბეჭდვა. ეს ფაქტი თავისთავად ხომ ბედნიერებაა, მაგრამ ჩვენთვის იგი ორმაგი ბედნიერება იყო, რადგანაც მამაჩემის ოცნება ახდა!

დიდი მადლობა ამისათვის ბატონ ლაშას.

გავიდა დიდი დრო და ტყიბულელებმა კვლავ გაგვაოცეს. ახლა კარლო ლომაძის დაბადების 100 წლისთავზე, ამ დუხჭირ დროში ტყიბულელებმა საკუთარი სახსრებით ბრინჯაოში ჩამოასხეს მისი უზარმაზარი ბიუსტი.

მართლაც რომ ყველაზე ძვირფასია სახელის მოხვეჭა.

ამიტომაც გადავწყვიტე ერთად შემეკრიბა მამაჩემის მეგობრების, ახლობლებისა და თანამოაზრეთა მონათხრობი და ჩემი მოკრძალებული მოგონება.

ილეოდა მეოცე საუკუნე. წავიდა მამაჩემის თაობა, მაგრამ მოდიოდა და მოდიოდა მამულიშვილთა მთელი არმია. მოვიდნენ და მოიტანეს თავისუფლება. მთავარი მიღწეულია. შემდეგი ეტაპია დემოკრატიული ინსტიტუტები. არსად ხელისუფლებას, ხალხისთვის ის არ მიურთმევია, ხალხმა თავად მოიპოვა. ჩვენც შევძლებთ.

დიახ! ჩვენში მარადიულია მცნება: „საქართველო უპირველეს ყოვლისა".

შემთხვევით არ არის, რომ თხრობას მამაზე, ვინყებ და ვამთავრებ სიტყვით „დიახ" – ძველთაგან „დიაღ", რაც ასე ჟღერს „დიდ არს ღმერთი".

ეტყობა – თანხმობაში ჩვენი წინაპრები – ღვთის ნებას ხედავდნენ.

მამაჩემის სამაგალითო უნარი თანხმობა დაემყარებინა ახლობლებში, ჩვენ ცხოვრებას გვიმსუბუქებდა.

ახლაც კი მას ვიგონებ სევდით – რადგანაც აღარ არის.

სიხარულით, რადგანაც ასეთი იყო, და სიყვარულით, რომელიც მუდმივად ძალით მავსებს.

ქეთო მასწავლებელი

სკოლაში გაგვაფრთხილეს, ორშაბათს ქართულში საქალაქო წერა ჩატარდება და მოემზადეთო. ქართულს ქეთო მასწავლებელი გვასწავლიდა, მან არა მხოლოდ შეგვაყვარა მშობლიური ლიტერატურა, არამედ გვასწავლა კითხვით მიღებული ტკბობის განცდა. ვკითხულობდით და ვხარობდით, ჩვენთან ერთად ხარობდა ქეთო მასწავლებელიც. საქალაქო წერამ მშვიდად ჩაიარა და არც გაგვახსენდებოდა, რომ არა ერთი შემთხვევა. ორი კვირის შემდეგ, დედაჩემს ანანოს დედამ დაურეკა: ჩემი შვილისგან ვერაფერი გავიგე და იქნებ თქვენ იცით სკოლაში რა მოხდაო, დირექტორმა მითხრა ანანოს გარიცხვას ვაპირებთო. დაუჯერებელი რამ გავიგეთ, ანანო ჩვენს შორის ყველაზე წყნარი და მორიდებული გახლდათ, შესახედავადაც მშვენიერი იყო, ლამაზი ცისფერი თვალებით და მუქი თმებით. ყმაწვილები მას კატუშა მასლოვას ადარებდნენ. მაშინდელი ახალგაზრდები ბევრს კითხულობდა და ლ. ტოლსტოიც საყვარელ მწერლად ითვლებოდა.

ანანო მაინც ყველაზე მეტად მასწავლებლებს მოსწონდათ. იგი გასუსული იჯდა გაკვეთილებზე და

ისე უსმენდა მათ, გეგონებოდათ ეშინოდა რაიმე არ გამომრჩესო. ანანო ამას იმით ხსნიდა, რომ უნდოდა სახლში მეტი თავისუფალი დრო დარჩენოდა.

დირექტორმა ანანო და დედამისი დილაადრიან დაიბარა. ჩვენც გაკვეთილების დაწყებამდე დირექტორის ოთახთან შევიკრიბეთ. ვილაცამ დაიძახა მოდიანო და დერეფანში გამოჩნდა ოთხი ინსტრუქტორი, სამი ახალგაზრდა ქალი და ერთი ხნიერი მამაკაცი. ქალები ლამაზები იყვნენ და ლამაზადაც ეცვათ, ოღონდ ისეთი განრისხებულები მოდიოდნენ, იფიქრებდი ფილმებიდან გადმომხტარი გესტაპოელები არიანო. მამაკაცი კი ვიცანითი, იგი ჩვენ საქალაქო ნერაზე გვესწრებოდა, ამიტომაც მივაძახე: მასწ! თქვენ ხომ იცით, ანანოს რომ არ გადაუწერიამეთქი.

დირექტორის ოთახში საუბარი ახალგაზრდა ქალმა დაიწყო, მას გული სწყდებოდა , რომ ეს სამარცხვინო ფაქტი ვაკის სკოლაში მოხდა, იმ უბანზე რომელსაც იგი კურირებდა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ სიმართლეს გაარკვევდა. მან დაუყვირა ანანოს: – სთქვი ჭავჭავაძე რატომ დაწერე! ანანოს დედამ მორიდებით იკითხა: – ბავშვს სკოლიდან იმიტომ რიცხავთ, რომ ჭავჭავაძე დაწერა?. ინსტრუქტორს არაფერი ესმოდა. იგი დარწმუნებული იყო,

რომ ქეთო მასწავლებელმა, როგორლაც მოახერხა წინასწარ გაეგო თემები და კლასი მოამზადა, რათა შემდეგ გაევრცელებინა მითი მის შესახებ – ძალიან კარგი მასწავლებელი ვარ და ძლიერი კლასიც მყავსო. ამიტომაც უტევდა ანანოს ასეთი გაშმაგებით. უნდოდა გოგონა იძულებული გაეხადა, ელიარებინა სიმართლე. რატომ დაწერეთ ყველამ ჭავჭავაძე, თანაც ყველამ მაღალი ნიშანი როგორ მიიღეთ? არ ცხრებოდა ინსტრუქტორი. შემდეგ ანანოს მიუბრუნდა: – შენ ხომ ფრიადი არასოდეს მიგიღიაო. – მიმიღია, მიმიღია, – ლუღლუღებდა ანანო, მიმიღია, მაგრამ მეოთხედში არ გამომყოლია. ინსტრუქტორი თანდათან ხმას უმატებდა: რატომ დაწერე, რატომ დაწერეო.

ანანომ მშვენივრად იცოდა, რა დიდი რისკის ფასად გვიამბობდა ქეთო მასწავლებელი არაპროგრამულ და არაოფიციალურ ამბებს. გვიამბობდა, როგორი პოპულარული იყო იმ დროისათვის ევროპაში ილია ჭავჭავაძის სახელი, რომ მისი განსაკუთრებული მეცადინეობით იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ დუმას დაავალა საკითხის მომზადება საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭების თაობაზე. სხვათა შორის ამაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარს, იმპერატორის დედის

მორგანულ მეუღლეს, აფხაზეთის მთავარს შერვაშიძეს. როგორც ცნობილია მორგანულია ქორწინება, როცა შთამომავალი ტახტის მემკვიდრედ არ ითვლება.

ანანომ ისიც იცოდა, რომ ქეთო მასწავლებელი ჩვენთვის იხარჯებოდა, როცა გვითარგმნიდა ბატონიშვილი ალექსანდრეს მოგონებებს, იმის თაობაზე თუ როგორ ოცნებობდნენ, დიდი საიმპერატორო ტახტის პატარა მემკვიდრეები – საქართველოსთვის სამეფო გვირგვინის დაბრუნებაზე. ანანომ იცოდა, მაგრამ მას აინტერესებდა. მხოლოდ ის, რომ ქეთო მასწავლებლის გამო იგი სკოლიდან არ გაერიცხათ.

და ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ მეცინება. მაინც, როგორ იყო გადახლართული ბაგრატოვანთა და რომანოვების ბედი?! თუ ოდესმე საქართველოს და რუსეთს სამეფო გვირგვინები ებოძებოდათ, მისი კანონიერი მფლობელები იქნებოდნენ, და-ძმა ირაკლი და ლეონიდა ბაგრატიონების შთამომავლები.

მართლაც, რომ ბედის ირონიაა!

ეს ისე, ახლა დავუბრუნდეთ ანანოს.

გაივლის დრო და იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახდება, იგი მონაწილეობას მიიღებს აკად. გ. შარაძის მიერ გამოცემული ი.ჭავჭავაძის ორტომეულის შედგენაშიც, მაგრამ მაშინ, იმ წუთში,

ყველაზე მეტად ჭავჭავაძე და ქეთო მასწავლებელი ეჯავრებოდა. იგი ცრემლებად იღვრებოდა, ინსტრუქტორი კვლავ აგრძელებდა გოგონაზე ზეწოლას. ანანოს სიბრაზე მოერია, ცნობილია სიბრაზე ცუდი მრჩეველია, გაბრაზებულს ეშმაკი ადვილად აცდუნებს და ანანომაც აღიარა. მან ტირილი შეწყვიტა და გარკვევით განაცხადა: დიახ ჭავჭავაძე იმიტომ დავწერეთ მთელმა კლასმა, თანაც კარგად დავწერეთ იმიტომ, რომ ქეთო მასწავლებელი შერყეულია. ანანოს ისევ ტირილი მოერია, და სიტყვებს მარცვალ – მარცვალ ისროდა: – შერყეულია, შერყეულია ილია ჭავჭავაძეზე! უკვე სამი წელია ამ დღეში ვართ, რომელი ქვეყნის მწერლობასაც არ უნდა ვსწავლობდეთ, იგი მოძებნის რაღაც საერთოს მათ შორის და შემდეგ იწყება: ილია ჭავჭავაძე მსოფლიო მნიშვნელობის მოაზროვნე, ილია ჭავჭავაძე წერა-კითხვის გამავრცელებელი, ილია ჭავჭავაძე... კმარა! გარეთ დამელოდე გაისმა დირექტორის ხმა. ანანო ლასლასით გაემართა კარებისკენ. თვალები ცრემლით ქონდა დაბინდული, ისე რომ დედის გაბრწყინებული სახეც ვერ შეამჩნია. იგი დერეფანში კედელს მიეყრდნო და განაჩენს ელოდა.

მაღლე დირექტორის ოთახიდან ინსტრუქტორი ქალები გამოიძურწნენ, ანანოსკენ არც გაუხედავთ ისე გაეცალნენ იქაურობას. დაგვიანებით მამაკაცი გამოვიდა, იგი ანანოს თმებზე მოეფერა და უსმოდ გაეცალა. შემდეგ დირექტორმა ანანო და დედამისი საკლასო ოთახში შემოიყვანა. იმ დღეს პირველი ფიზიკა გვქონდა, მაგრამ დოდო მასწავლებელს გაკვეთილი არ ჩაუტარებია. იგი ჩვენთან ერთად ცდილობდა გაერკვია, რა შეემთხვა ანანოს. თავისი საგანივით ცივი და უკარება დოდო მასწავლებელი იმ დღიდან მოსიყვარულე მეგობრად გადაიქცა. იგი ზღურბლზე მიეგება დირექტორს საყვედურით – ამის მეტი გასარიცხი ვერავინ ნახეთო და ანანო მერხთან მიაცილა. შემდეგ ფანჯარასთან მივიდა და იქ გააგრძელა ანანოს დედასთან საუბარი.

დირექტორი გაოცებული უყურებდა ოცდაათი გაფითრებული ბავშვის გაფართოებულ თვალებს. ძალა მოიკრიბა და კლასს მიმართა: – ყველაფერი კარგად არის არაფერი მოხდაო. კლასი მოჯადოებულივით უყურებდა დირექტორს, ვერაფერს ხვდებოდა. დირექტორმა ხმას აუწია, – დაწყნარდით! არავინ ისჯება, ყველაფერი გაირკვა, ოღონდ თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, რაც მოხდა ამაზე არ ილაპარა-

კოთ, ეს ჩვენი საიდუმლო იყოსო. ჩვენ ნამდვილად არ გავტეხეთ სიტყვა და დავივიწყეთ კიდეც ეს ამბავი. მხოლოდ ერთხელ მოგვაგონდა, როცა ქეთო მასწავლებლის სურათი გამოჩნდა გაზეთში, იგი უმაღლესი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. ჩვენ სურათი საკლასო ოთახის კედელზე გავაკარით და მივაწერეთ: გვიყვარხარ. ეს გრძნობა მუდმივად არის ჩვენში მიძინებული, როგორც მზეთუნახავი.

და აი, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა საქართველო რეფერენდუმზე ხმას აძლევდა დამოუკიდებლობას, ანანო სკოლასთან დავინახე. თავისი დიდი ოჯახით საზეიმოდ მორთული, შვილიშვილებთან ერთად მოდიოდა. მაშინვე მიხვდა რაც გავიფიქრე და ჩამჩურჩულა: – სწორედ ამათმა უნდა დაიმახსოვრონ საქართველოს გაბედნიერების დასაწყისიო, მისმა მეუღლემ კი ორივე გულში ჩაგვიკრა და შვილებს მიმართა: აი, ასეთები ვართ ქეთოს მოსწავლეებიო. მე გახარებული ვბრუნდებოდი საარჩევნო უბნიდან. კმაყოფილი ვფიქრობდი, რომ ჩვენს კლასს გაუმართლა, ძალიან გაუმართლა, ქეთო მასწავლებელი რომ გვყავდა.

ედო მაგარია

ჩემი ბიჭუნა ძალიან ჰგავდა დეიდას და თანაც დიდი მეგობრებიც იყვნენ, მაგრამ მისი გათხოვების შემდეგ, ბიჭუნა თითქოს ბიძისაკენ გადაიხარა. სულ უკან დასდევდა, რაღაცეებს უამბობდა და ბოლოს აუცილებლად შეეკითხებოდა: ედო, პონილ? ისიც ღიმილით პასუხობდა: პონილ, პონილო.

იმ დროს ვაკის პარკის ღია დარბაზში ფილმებს აჩვენებდნენ. ვაკელებს ძალიან მოსწონდათ სუფთა ჰაერზე, ყოველ საღამოს ახალი ფილმების ნახვა. მაგრამ საოცრება ხდებოდა საბავშვო ფილმების ჩვენებისას. ისინი ზეიმს აწყობდნენ, შემოსხდებოდნენ კიბეებზე, ღობეზე და თქვენ წარმოიდგინეთ ხეებზეც კი და მხიარული შეძახილებითა და განცდებით უყურებდნენ ფილმებს განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა ამერიკული ფილმები „ლიმონათის ჯო". მას ორი კვირისგანმავლობაში უჩვენებდნენ და ყოველ საღამოს, როგორც ერთგული ჯარისკაცები ბიჭუნა და ედო იქ იყვნენ. ბოლო დღეს, როცა ფილმის ჩვენება დამთავრდა, ბიჭუნა დაღვრემილი მოყვებოდა ბიძას, იქვე, პოსტზე მდგომმა მილიციონერმა დაუყვავა: რაო პატარა დამთავრდა თქვენი საყვა-

რელი ჯო? ბავშვმა ლამის ტირილით დაუქნია თავი. ასეთი განწყობით შემოვიდა იგი სახლში, რომელიც იქვე პარკის გვერდით დგას. ბებომ ბიჭუნას გამხიარულება მოინდომა და სამზარეულოსაკენ გაემართა, საიდანაც გაისმა მისი გაოცებული ხმა: – ეს რა ქენით, ბავშვს ნამცხვარი არ შეუნახეთ? სახლი სიჩუმემ მოიცვა. ამ დროს გაისმა ედოს ნათქვამი: მე მოვიტანო! – შუაღამეს? შეეკითხა ბებო. – მე რუსთაველზე გაზრდილი ბიჭი ვარ და ვიცი. ამ დროს ნამცხვარი სადაც იქნებაო, თქვა და თავის ოთახში შევიდა, იქ რაღაც აიღო, მოკიდა ბიჭუნას ხელი და სახლიდან გავიდნენ.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული როცა ოთახში შემოიჭრა ლოყებაწითლებული ბიჭუნა, იგი დარბოდა ოთახებში და მთელი ხმით ყვიროდა: ედო მაგარია! ედო მაგარია!

თურმე სახლიდან გასულები იქვე პოსტზე მყოფ მოტოციკლიან მილიციონერთან მივიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დღეში რამდენჯერმე ხედავდა ედო ოფიციალურად მიესალმა და საბუთი მიაწოდა. მან სამსახურის მოწმობა ისე შეათვალიერა ედოსთვის არც შეუხედავს, იცოდა სადაც მუშაობდა, მაგრამ ძალიან გააოცა მეორე საბუთმა. რამდენჯერმე გადაი-

კითხა მოტომორბენალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მოწმობა. ხმა არ ამოუღია. საბუთი ფრთხილად დაკეცა, გულის ჯიბეში ჩაიდო და სანაცვლოდ გასაღები გაუწოდა. ედომ მოხერხებულად დაისვა წინ ბიჭუნა და მოტოციკლი გრუხუნით გავარდა თბილისის გაკაშკაშებულ ქუჩებში.

ბიჭს სუნთქვა ეკვროდა, მას არც ფილმი და არც ნამცხვარი აღარ ახსოვდა. იგი თითქოს მფრინავი ხალიჩით დაფრინავდა თბილისის ქუჩებში წინ და უკან. იგი უზომოდ ბედნიერი იყო, ამას არც მალავდა და რაც შეეძლო ყვიროდა: ედო მაგარია! ედო მაგარია!

ედო კედელთან იდგა ნამცხვრებით ხელში.

მე ვუყურებდი ჩემს სიძეს, ჩემს ძმას, ჩემი ბიჭუნას მეგობარს და თვალცრემლიანი ვფიქრობდი, შენ მართალი ხარ შვილო – ედო მაგარია!

დედიკო მართალია

დიდი ხნით ადრე დავიწე სამზადისი. ჩემი ბიჭუნა სკოლაში მიდის და ყველანი ვხარობთ. ჩემმა დამ პარიზიდან ჩასაცმელები ჩამოუტანა; ჩანთა კი დიდი შერჩევის შემდეგ მე ვუყიდე მოსკოვში, რაზედაც კოლეგები მეხუმრებოდნენ: შენი შვილი პირველ კლასში მიდის, თუ პირდაპირ აკადემიაშიო.

და აი, პირველი სექტემბერია. ჩემი და შემითანხმდა, ყვავილებს ვიყიდი და სკოლაში ერთად წავიყვანოთო. მოვრთე ჩემი პატარა, გავუშვი ეზოში და დაუბარე: დაელოდე დეიდას და მეც ახლავე ჩამოვალთქო. მართლაც სწრაფად გავემზადე, გავალე კარები და დავინახე... . გაწეწილი, გათხუპნული და უჩანთოდ მდგარი. ვუყურებ და ხმას ვერ ვიღებ, დაბნეული ვიცქირები აქეთ-იქეთ ის კი ჯიქურ ჩაშტერებოდა იატაკს. დერეფანში თვალი მოვკარი მის სპორტულ ჩანთას და ტენისის პატარა ჩოგანს. დაუფიქრებლად მოუქნიე ჩოგანი. არაო, შემომესმა ჩემი დის ხმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჩემი ბიჭუნას ფუნთულა ფეხებს უკვე წითელი ზოლები ეტყობოდა. დარცხვენილმა ავწიე თავი და ვხედავ კარებთან ჩემი და დგას, ყვაველებითა და სკოლის ჩანთით ხელში. შემომხედა და გაფითრებულ-

მა ჩაიჩურჩულა: ეს რა ქენიო? უეცრად ჩემი ბიჭუნა მიიჭრა დეიდასთან, შემოხვია ხელები მუხლებზე და თითქოს, იმის შიშით, დედას საყვედური არ უთხრასო, შესძახა: დედიკო მართალია! დედიკო მართალია!

ვერცერთმა ვერ შევძელით ხმის ამოღება. სასწრაფოდ მოვანესრიგეთ ბავშვი და მანქანით გავემართეთ. მთელი გზა იგი მუხლებზე მეჯდა და რაღაცეებს მეტიკტიკებოდა. ჩემი და კი ჩაფიქრებული იცქირებოდა ფანჯარაში. შემდეგ, ისე ჩამოვიდა მანქანიდან ჩემკენ არც გამოუხედავს, მოკიდა ბავშვს ხელი და სკოლისაკენ გააქანა. ვუყურებ, ჩემი ბიჭუნა ხტუნვა-ხტუნვით როგორ მიყვება დეიდას, თან უკან იყურება და კოცნას მიგზავნის.

და მომაგონდა ზაფხულის დღეები, შაორის ტბის ყვავილებით მოქარგული მდელოზე. იგი როგორც ახლა, ხტუნვა-ხტუნვით მიდის ყვავილებთან, მზით დამთბარსა და დამტკბარს დაყნოსავს და მეუბნება: მოწყვეტა არ შეიძლება, ეტკინება ხო დედიკო?

ხო დედიკო! შენ ყვავილს არ ატკინე.

მე კი გატკინე. და შენ იმ წამში მაპატიე, აკი უთხარი დეიდას – „დედიკო მართალიაო“.

წლები გაიპარა, როგორც წამები.

იმ წამების გახსენებას ცრემლებამდე მივყავარ.

ამბობენ ცრემლები ტკივილს აყუჩებს და აქარწყლებსო, მაგრამ არა! ჩემი დაღვრილი ცრემლების არცერთი წვეთი ჩემგან არ წასულა. ყველანი ჩემთან დარჩნენ, ისინი ჩემში არიან.

გამარჯობა ბაბუ

ჩვენი პატარა უკვე გარკვევით ლაპარაკობს. ჩვენს მცდელობას უქმად არ ჩაუვლია. იგი ხშირად იმეორებს: მადლობთ, ბოდიში, გამარჯობა. და როცა უნდა განსაკუთრებულად თავაზიანი იყოს: დიდი მადლობა, დიდი ბოდიში, დიდი გამარჯობაო. ამას ჩვენი მხიარულება მოყვება ხოლმე და ისიც ცდილობს რაც შეიძლება მეტად გაგვახაროს, ჩვენც ვხარობთ.

უქმე დღე იყო და დილით მე წავიყვანე სასეირნოდ. ვაკის პარკის შესასვლელთან, გაზეთების ჯიხურის წინ ხალხი ირეოდა, ზოგი ყიდულობდა, ზოგსაც უკვე ეყიდა და იქვე კითხულობდა. ჩვენ სიღრმისაკენ გავემართეთ. უეცრად ბიჭუნა გამისხლტა ხელიდან და საოცარი სისწრაფით გავარდა წინ. იგი მიიჭრა ერთ სკმათან, სადაც კაცს ისე გაეშალა გაზეთი რომ არც კი ჩანდა, ისე ღრმად იყო ჩაფლული, რომ ეტყობოდა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანს კითხულობდა. თვალისდახამხამებაში თითქმის ჩამოახია გაზეთი. კაცი განრისხებული წამოიჭრა, ბავშვი ვერც კი აღიქვა და ის იყო თავის რეაქციის გამოხატვას

აპირებდა, რომ ბიჭუნამ ქვემოდან რიხიანად მიესალ-
მა: გამარჯობა ბაბუ!

შემცბარმა ქვემოთ დაიხედა, აიტაცა ბავშვი და
გულში ჩაიკრა. შემდეგ კი ბურთივით ისროდა ზე-
მოთ.

ბავშვი კისკისობდა, კაცი როხროხებდა: შენ გაი-
ხარე, შენ გაიზარდე, ძლივს არ ვნახე კაცური კაციო.

მე დამფრთხალი შევყურებდი ყოველივეს. წამები
საათებად გადამექცა. ბოლოს როცა ბავშვი დამიბრუ-
ნა, დაქანცული სახლისაკენ წამოვედი.

ბიჭუნა კი გახარებული მეჩურჩულებოდა: ნახე,
სხვის ბაბუს როგორ გაუხარდა, გამარჯობა რომ
ვუთხარიო.

პატარა ქართველი

ისინი ორი წლით არიან ნიუ-იორკში. ბიჭუნას გაუმართლა, კოლუმბიის უნივერსიტეტის სკოლამ, 10 წლის მოსწავლეებისთვის კონკურსი გამოაცხადა. ბიჭას გზა გახსნილი აქვს. მაგრამ მშობლები მართებულად ყოყმანობენ. იგი იხვეწება, თუ კონკურსი მართლაც უფასოა – მოვსინჯავო! დაიჩემა და ორი ტურიც გაიარა. მოვიდა გადამწყვეტი მესამე ტური, ბიჭუნა ჩაფიქრებული ზის. გამომცდელი ინტერესდება: პასუხი არ გაქვს? – როგორ არა, უპასუხა მორიდებით, ოღონდ ინგლისურად ჩამოყალიბება მიჭირსო. გამომცდელი უფლებას აძლევს მშობლიურ ენაზე ჩამოაყალიბოს რადგანაც თარჯიმნები ყავთ. ასეც მოიქცა და ჩაირიცხა კიდეც.

მშობლები ჩქარობენ, რაც შეიძლება მეტის ნახვა მოასწრონ, დაათვალიერონ ღირსშესანიშნავი ადგილები, მოინახულონ მუზეუმები. და ერთხელ, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში შესვლისას, ბიჭუნამ დაინახა მის უკან ქალბატონი და უკან დაიხია, ადგილი დაუთმო. ქალბატონმა უცნაური რეაქციით უპასუხა, ჩაჰკიდა ბავშვს ხელი, გასწია ხალხი და მიმართა მათ: აი, შეხედეთ ამ პატარა ჯენტლმენს, ამით

არის ამერიკა ძლიერი, ესენი ადიდებენ მას, არა მხოლოდ სწავლით, არამედ თავაზიანობითაცო. შემდეგ, როცა გაიგო სად სწავლობდა, ხმას აუწია: დიახ! მე მადლბის წერილს მივწერ სკოლის დირექტორს ასეთი თავაზიანი თაობის აღზრდისთვისო.

ხალხი თანდათან ემატებოდა: დაცვამაც კი შეამოწმა რა ხდებაო და აი, ამ დროს გაისმა პატარა ბიჭის, დიდი სიამაყით ნათქვამი:

არა ქალბატონო!

მე ქართველი ვარ! და ყველა ბავშვი ჩემს ქვეყანაში ასე იქცევა.

აჩურჩულა საზოგადოება, საქართველო, ჯორჯია კავკასიიდან...

რა იცოდა მაშინ პატარა ქართველმა, რომ იქ, მის ქვეყანაში, ზოგიერთი, რომელიც სიტყვა „ბავშვის" დაწერას სწორად ვერ ახერხებდა, მთელი მონდომებით ასწავლიდა ბავშვებს:

უფროსებს ადგილი არ დაუთმოთ! მითუმეტეს მგზავრობისას, თუ ბილეთებიც შეძენილი გაქვთო.

ცრემლების ტბა

ბიჭუნა ზაფხულის არდადეგებზე, ნიუ-იორკიდან თბილისში ჩამოვიდა. მეორე დღესვე კოჯორში ავიყვანეთ. სადაც მისი მორაგბეთა სკოლა ვარჯიშს გადიოდა. 24 ბავშვი, 4 მწვრთვნელი და მარინა მასწავლებელი უზარმაზარ სკოლის შენობაში ცხოვრობდნენ. ვარჯიშის შემდეგ ბავშვები მხიარულობდნენ, ზოგი რას აკეთებდა, ზოგიც რას. ერთხელ უწყინარი შეკამათება ჩხუბში გადაიზარდა და ბიჭუნას მეგობარი კიბიდან გადმოვარდა. სასწრაფოდ მოუარეს, შეუხვიეს. მან კი თბილისში დაურეკა მშობლებს: წამიყვანეთ, აქ არ მინდაო!

ბიჭუნა გაოცებული უყურებდა მეგობარს.

პატარა კაცს დიდი სევდა შემოაწვა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

საღამოს, როცა ვახშმის დრო მოვიდა, ურიამულით აივსო სასადილო ოთახი. ბიჭუნამ წყენა გვერდით გასწია და მიმართა მათ. მთელი წელი იქ ამერიკაში, ვიგონებდი თქვენთან გატარებულ დღეებს. თქვენი მონატრებით მთელი ტბა ცრემლები დავღვარე. შენ კი – მიუბრუნდა მეგობარს, შენ კი ფეხის გა-

კაწვრის გამო ჩემგან გარბიხარო! თქვა და ეზოსაკენ გაემართა.

ბავშვები და მწვრთნელები გაოგნებული დარჩნენ. მარინა მასწავლებელი ცრემლებს იწმენდა. ის კი ეზოდან ნაღვლიანად გაყურებდა ჩაჩუმებულ შენობას. უეცრად, იმ საოცარ სიჩუმეში გაისმა მეგობრის ხმა: ხო! მამიკო, არ წამიყვანოთ, აქ კარგად ვარო. მას საუბარი დამთავრებელი არც კი ჰქონდა, ბავშვებმა ჟივილ-ხივილი რომ ატეხეს. ის კი კმაყოფილი გაემართა ბიჭუნასაკენ.

შენი ნახვა მენატრება

„სად არის ჩემი ფიქრია, მუდამ ფიქრებში წასული – შენზე დაწერა პოეტმა? არა! გაგიუდი, თავის შვილზე დაწერაო. მპასუხობ. ორივენი ვიცინით, ვიცინით როცა მდინარეში ვჭყუმპალაობთ. შემდეგ მზეს ვეფიცხებით და სიცილით გავრბივართ ხილის ბაღისკენ, იქ მებაღე შეგვსვამს დიდ ბლის ხეზე; ღმერთო, რა ლამაზი იყო ირგვლივ ყველაფერი. ბაღიდანაც სიცილით გავრბივართ. სულ დავრბოდით, ამიტომაც ამბობდა მამაჩემი: – ეს ბავშვები კი არ დარბიან, დაქრიანო. ჰო, ალბათ მართლაც დავქროდით.

მამაშენმა ფოტოგრაფს სურათი გააკეთებინა, ორი მერცხალი ზის და ჭიკჭიკებს. თავები შეცვალა ჩვენი სურათებით და მიაწერა „ჭორიკნები". და დაგვრჩა ეს სურათი ჩვენი ბავშვობის, ჩვენი ნარსულის მოსაგონებლად.

ჩვენ სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობდით. შენ ცხოვრობდი ზემელზე, პაპანინის ქუჩაზე, მე ვაკეში, რიგის ქუჩაზე. ჩვენ გვყავდა სკოლისა და ეზოს მეგობრები, მაგრამ განსხვავებული იყო ჩვენი მეგობრობა. ჩვენ შაბათ-კვირას ვხდებოდით ერთმანეთს,

როცა სასეირნოდ გვიშვებდნენ. შეხვედრის ადგილი იყო ვერა, სკოლის წინ. გავემართებოდით რუსთაველზე, როცა „ლალიძის წყლებს“ მივუახლოვდებოდით, ნაბიჯს ავუჩქარებდით, სწრაფად გავეცლებოდით იქაურობას და ნაცნობებისაკენ არ ვიყურებოდით, თითქოს არც გვაინტერესებდა. უკან დაბრუნებულებს დიდი სიხარული გველოდა. „კომუნისტის“ რედაქციასთან იყო პატარა კაფე, არაჩვეულებრივი ფუნთუშებითა და ცხელი კაკაოთი. ბედნიერები მივირთმევდით და ამას არავის ვუმხელდით. ეს ჩვენი პირველი საიდუმლო იყო.

ჩვენი მეგობრობის ექვსი ათეული წლის მანძილზე ჩვენ ერთად ვიყავით, როცა გვტკიოდა და როცა გვიხაროდა. უკვე იმდენს აღარ ვიცინოდით, მაგრამ ბევრს ვლაპარაკობდით და არასოდეს ვკამათობდით. ჩვენ ერთი ხედვა გვქონდა, ერთნაირად ვფიქრობდით. როგორც ამბობენ – ერთი მიმართულებით ვიცქირებოდით.

აი, შენ უკვე ჩემი შვილის ნათლია ხარ. მაგონდება მოხვედი დაბნეული და აფორიაქებული. ჩურჩულით მეუბნეოდი: რატომ ხდება ასე?

რა ფიკო?

რატომ ხდება, ვიზეც განუწყვეტლივ ფიქრობ და ვინც გიყვარს, როცა მასთან მარტო რჩები, გინდა რომ გაეცალო და მისგან გარბიხარ. მოგეფერე და გითხარი – თურმე ყველა ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გარბის თავის სიყვარულისგანთქო.

შენ გამილიმე, თავი მომადე და გაირინდე. მერე დააყოლე: – ყველა ადამიანი? – ხო ვიცი! ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ სიყვარული არ კლავს. იგი მხოლოდ ღრმა იარებს გვიტოვებს.

ბევრი მოგონება გადაფარა შენმა ავადმყოფობამ. მერე თითქოს გამოკეთდი, წმინდა მინაც მოინახულე და ხატიც ჩამომიტანე. ძალზე კმაყოფილი იყავი. თუმც კვლავ შემოგეძალა ავადმყოფობა. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო სუსტებოდი; ოი, როგორ მინდოდა შემომეშველებინა ჩემი ძალა.

25 მაისია, ხვალ შენი დაბადების დღეა. დილიდან შენთან ვარ. გეფერები და გკოცნი – ფიკო, რა ლამაზი თმები ამოგვივიდა, ასეთი ბავშვობაშიც კი არ გქონდა. შენ მიყურებდი დიდი ლამაზი თვალებით მერე ჩუმად, ძალიან ჩუმად ამბობ: – ნანა და ჩერდები, ეტყობა ძალა არ გაქვს რომ გააგრძელო. მხოლოდ დაბეჯითებით მიყურებ. ამ მზერამ შემძრა. ეს მზერა არ დამავიწყდება. შევწუხდი, ვერ მივხვდი რისი თქმა

გინდოდა. გვერდით ოთახში ახლობლები არიან, თამუნას ვეუბნები: – რაღაცის თქმა უნდა, რაღაცის. საღამოა, სახლში მოვდივარ, გულს ვერაფერს ვუდებ. განუწყვეტლივ ვიმეორებ: ნეტავ რისი თქმა უნდოდა, რისი?! ღამის II საათი გახდა, როგორც იქნა მივხვდი – გამომშვიდობება უნდოდა! სასწრაფოდ ვრეკავ: როგორ არის? – თამუნა ხმას იღებს. ვიმეორებ – როგორ არის! თამუნა ისევ დუმს და საკმაოდ ლოდინის შემდეგ მპასუხობს: – როგორც იყო, უკეთესად არ არის. შემდეგ გავიგე იმ დროისათვის თურმე აღარ იყავი, მაგრამ თამუნამ დამინდო ღამით არ გამაგებინა.

დადგა შენთან გამომშვიდობების დღე. აქ არიან შენი ახლობლები და მეგობრები. გარინდულია ყველა. აქ-იქ ისმის ჩუმი ზლუქუნი. აი, შემოდის თვალცრემლიანი მამაკაცი. უჭირს, ტირილი მოეძალა და ვერავისთან მიდის, ვერავის უსამძიმრებს. იგი თითქოს გარბის ოთახიდან. უცებ გამოელვა: ჩვენი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა მონაკვეთმა და უხმოდ მივაძახე: – გაიქეცი, ახლა შენ გაიქეცი! გემშვიდობებით. მადლობთ მეგობარო. დამთავრდა ჩვენი ერთად ყოფნა. ჩვენ ხომ ერთად ვხარობდით და ერთად ვდარდობდით, ახლა კი ვტირი, არ არსებობს ტირილ-

ზე დიდი ნუგეში. ახლობელი უნდა გამოიტირო. მხოლოდ ტირილი და დრო შეგვარიგებს სიკვდილთან. შენ ისეთი სპეტაკი იყავი, ისეთი სათნო და გამორჩეული, რომ შენი არ ყოფნა დაუჯერებელია. აკი ამბობდი – სიცოცხლე მარადიულია, იგი არ მთავრდებაო. სიკვდილი მისი სახეშეცვლილი ფორმაა მხოლოდ. ჰოდა სიცოცხლე გრძელდება ფიკო! შენ მუდამ ჩვენთან იქნები!

ფიქრები საფლავთან

შენთან საუბარი და ძველის გახსენება მომენატრა. სამძიმრის ბარათში ვწერდი, რომ უფალმა სილამაზე, ნიჭი და სიყვარული მოგვმადლამეთქი. თუმც ის არ დამიწერია როგორი მართალი და ფაქიზი ბუნების იყავი. ალბათ იმიტომ, რომ უმეტესობა ამ აზრს არ გაიზიარებდა. რადგანაც თავად დიდი მონდომებით მალავდი სიმართლეს. სხვისი, უცხო კაცის ნიღაბი მოირგე, მაგრამ საკუთარ თვალებს ვერაფერი მოუხერხე. შენს სურვილს დაგემალა შენი დიდი კცობა, შენი თვალები ამჟღავნებდა. მალავდი, დიდი მონდომებით მალავდი, შემდეგ კი შემოქმედებაში გამოამზეურე.

მაგონდება შენი შემოქმედების დასაწყისი. სადიპლომო ფილმ „მამას" ზოგიერთი კადრები ხომ ჩემს ბინაში და ჩემი ბინიდან გადაიღე.

შენი ახალგაზრდული თვისება – მოულოდნელი საქციელით, განცვიფრებაში მოგეყვანა სხვა, ახლა კინოში გადმოიტანე. „მამას" ფინალშიც ხომ ასე მოიქეცი. მთელი დღე სხვის შვილთან არბენინე ის კაცი.

პირველივე ფილმით გაღიარეს, ჯერ უცხოეთში, ხოლო შემდეგ ჩვენთან. პირველ სრულმეტრაჟიან

ფილმს, ჩვენთან ტელევიზიაში იღებდი. ამიტომაც საქმის კურსში ვიყავი. მითუმეტეს რომ ფილმი ჩემს ოჯახსაც ეხებოდა. სცენარით ჩაფიქრებული გქონდა გეჩვენებინა შენი ძმის პრობლემები, როგორც შინ, ისე გარეთ. მაგრამ გადაღების პროცესში მოინდომე ტრილოგიის, – სამი ფილმის გაკეთება – ოჯახის სამივე წევრზე ცად-ცალკე იმავე მსახიობების შესრულებით, ოღონდ ათ-ათი წლის ინტერვალით.

შენი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო. შევნუხდი, როგორ სამი ფილმის შესაქმნელად ოცი წელი გჭირდება? – ეს ხომ პროფესიულ პრობლემებს შემიქმნის მეთქი. არაო! დამამშვიდე, თან სხვა ფილმებზე ვიმუშავებო. ცხოვრება კი ისე აეწყო, რომ ტრილოგიის გადაღებას აზრი აღარ ქონდა.

ფიქრებში ნავედი და ჩვენი გაუთავებელი საუბრები მომაგონდა. ერთხელ მითრიდატე მეფეზე გიყვებოდი და მითხარი: მამაც მეფეზე და მის მშვენიერ მეუღლეზე ფილმის ნახვას ისურვებდი არა?

ხო! მეთქი, წამოვიძახე სიხარულით.

ჰოდა იქნებაო – მითხარი და გულში ჩამიკარი. თვალცრემლიანი გეხვეოდი. მე ხომ ამის თხოვნას ვერასოდეს შეგკადრებდი. შენ შეგეძლო ერთგულება და უფრთხილდებოდი ჩვენს ურთიერთობას. მე კი ეს

მახარებდა. შემდეგ, როგორც იტყვიან ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი ოცნებაც თან გაიყოლა.

თუმცა შენ მწვერვალს მიაღწიე!

შენ ნამდვილი, დიდი კინო გააკეთე.

ყოფში კი ისე იქცეოდი, თითქოს სასჯელს იხდიდი. ვერ ეგუებოდი სიყალბეს ირგვლივ.

დიდი ხელოვანი ყოველთვის უსწრებს დროს და ყოველთვის აქვს კონფლიქტი მასთან.

შენი კონფლიქტიც შინაგანი იყო. ეს იყო კონფლიქტი საკუთარ თავთან და დროსთან.

არ მავიწყდება, რას არ გთავაზობდნენ, როგორ პრივილეგიებსა და თანხებსაც. ოლონდ კანის ფესტივალზე შენი ფილმი რუსეთის ეგიდით გასულიყო, მაგრამ ზნეობამ დათრგუნა ცდუნება და შენი ფილმი კანში დამოუკიდებელი საქართველოს სახელით წავიდა. წავიდა და აღიარებით დაბრუნდა.

მაგონდება შენი ანცობის ამბებიც. გარდაცვალებამდე კარგა ხნით ადრე ჩემთან შემოიარე. ჩაკოცნე ყველა ჩემი თანამშრომელი და თითქოს შემთხვევით, შენთვის უცხო გოგონაც თან მიაყოლე. ამას დიდი სიხალისე მოჰყვა. ერთხელაც რუსეთში ფესტივალის დახურვა მოაწყვეს აუზიან დარბაზში და როცა შენი გვარი გამოცხადდა პირდაპირ აუზში გადაეშვი,

თანჩაგყვა შენი ქართველი მეგობრები. არც რუსებმა და უცხოელებმა დააყოვნეს. ასე გაივსო აუზი ფრაკიანი და საღამოს კაბანი მოყვასეებით, ისინი იქ აუზში გილოცავდნენ გამარჯვებას. ლევან! შენ დავიწყება არ გიწერია. შენ, ნამდვილად სასურველი და საჭირო კაცი იყავი. თავად მშვენიერი, მშვენიერებას მსახურობდი. შენი შემყურე ვფიქრობდი: ეს მტერსაც კი მოხიბლავსთქო.

ძალზედ დასანანია, ასე ადრე რომ გაეცალე შენ საყვარელ ოჯახს და ქვეყანას. მე კი შენს საფლავთან ცრემლებს ვღვრი.

მე მიყვარს ყველა ჩემი ცრემლი, რომელიც შენთვის – სიხარულით თუ მწუხარებით დავღვარე. და ვევედრები უფალს, ჩემი დანთებული სანთლებით გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

რედაქტორისგან

თუ შენი მეგობარი მოგწონს, თუ ენდობი, თუ აღიარებ, და თუ გინდა ობიექტური იყო, გამოგივა? ალბათ უნდა შეეცადო. (და მაინც, შენ ხომ შენს პროფესიაში იყავი მეტად წარმატებული) ამიტომაც მიკვირს, მიხარია და გულწრფელად მადლიერი ვარ იმ სიამოვნებისათვის, რაც შენი ნააზრევის კითხვისას განვიცადე. ვფიქრობ, ყველა ახლობელი ვინც ამ წიგნს წაიკითხავს ნათლად დაინახავს შენს გულწრფელ გრძნობებს და სათუთ ბუნებას.

ეს კი ადრე დაწერილი ლექსი.

* * *

იქნებ ვერც კი გიპასუხო,
იქნებ ვერც კი გავრითმო.
გაქრა სადღაც შთაგონება,
ხედავ წლებმა რა მიყო.

თუმც დარჩა, ბევრი დარჩა
მოგონება წარსულის.

სინანული, ფიქრში ფიქრი
სიყვარულიც ბავშვური.

ეხ, სად გაქრა ჩემო ნანკა,
ნუთუ მართლა, ასეა?
არ დავნებდეთ! ჯერ ხომ ისევ
გულში ცეცხლი ანთია.

ჩვენ ხომ დავრჩით ერთად ორი,
მეგობრები მარადის.
დიდხანს გვევლოს
გვევლოს დიდხანს
დაღამების ჟამამდის.

თინა მგალობლიშვილი
საქართველოს დამსახურებული არტისტი

სარჩევი

ლექსები

ეს მამული ჩემია 7
მახსოვრობა 8
ჯერ წავიდა ბავშვობა 9
დადგა ჩემი შემოდგომა 10
ხშირად ვფიქრობ 12
ყველა ჩემი საქციელი 15
თუ ხალხმრავალ სამყაროში 16
სამართალი 17
სიძულვილით ერთად ყოფნა 18
ახლა ვიცი 20
წუხილი 21
ნეტავ ასე რატომ ხდება 22
ყველაფერი უკვე იყო 23
ყურსაც ართობს 24
ჩემს მხარეში 26
ეს ლამაზი კაკლის ხე 27
აქ ისეთი სიმშვიდეა 28
მახვილით და კალმით 30
მამას 32

დედას 33
მამუკას 34
ვასიკოს 35
თამუნიას 36

მოთხრობები

სიყვარული რომელიც მუდმივად
ძალით მავსებს 41
ქეთო მასწავლებელი 54
ედო მაგარია 61
დედიკო მართალია 64
გამარჯობა ბაბუ 67
პატარა ქართველი 69
ცრემლების ტბა 71
შენი ნახვა მენატრება 73
ფიქრები საფლავთან 78
რედაქტორისგან 82

რედაქტორი	**თინა მგალობლიშვილი**
კონსულტანტი	**ლია ალიბეგაშვილი**
მხატვარი	**ეთერი ჩავლეიშვილი**
კომ. უზრუნველყოფა	**ხათუთა ბადრიძე**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge